

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
შპს „მარჯანი 5“-ის სოფელ კვალითში სილიკომანგანუმის ჩამოსხმის
საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

20 მაისი, 2019

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს [შპს „მარჯანი 5“-ის სოფელ კვალითში სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების \(გზმ\) ანგარიშის თაობაზე](#):

1. ზოგადი შენიშვნები

1.1. პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთების მიზნით, გზმ ანგარიშში მოცემულია ორი ქვეთავი: „პროექტის დასაბუთება“ და „არაქმედების ალტერნატივა“. ორივე ქვეთავში, მიზანშეწონილება შეფასებულია მხოლოდ დადებითი კუთხით, ხოლო დასკვნები სათანადო კვლევებით/მონაცემებით არ არის გამყარებული.

1.2. 4.1 ქვეთავში ჩამოთვლილია ის შენობა-ნაგებობები, რომელთა განთავსებაც იგეგმება საწარმოო ტერიტორიაზე: მაგალითად, “წყლის სადანნეო ავზი-16.0ტ; გამშვები პუნქტის ტიპური ნაგებობა და სხვა ნაგებობები” - დაკონკრეტებული არ არის „სხვა ნაგებობებში“ რა დანიშნულების შენობები იგულისხმება.

1.3. კანონმდებლობის მიხედვით, არაქმედების ალტერნატივა გულისხმობს, საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას და არა - პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სარგებლის მიმოხილვას, როგორც ეს გზმ ანგარიშის 8.1 ქვეთავშია წარმოდგენილი.

1.4. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია შპს „ეკომეტალის“ საწარმო, ხოლო მესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა დაშორებულია 600 მეტრით. აქედან გამომდინარე, დოკუმენტში დეტალურად უნდა იყოს შეფასებული კუმულაციური ზემოქმედება, თუმცა 6.12 ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია არავითარ მონაცემებს არ მოიცავს.

2. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება

2.1. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება არ არის სათანადოდ მომზადებული, რაზეც მეტყველებს 2018 წლის 7 სექტემბერს (მხოლოდ ერთი დღის) ჩატარებული სავლევ კვლევის შედეგები. გარდა ამისა, სახეობების ჩამონათვალი ვარაუდებს ემყარება. მაგალითად, დოკუმენტში ვხვდებით შემდეგი სახის ჩანაწერებს: „გაფხულის ცხელ დღეებში შესაძლებელია ტერიტორიაზე გველხოკერას (*Pseudopus apodus*) და ზოლიანი ხვლიკის (*Lacerta strigata*) არსებობა“; ძუძუმწოვრებიდან შესაძლებელია დედოფალა (*Mustela nivalis*),

მინდვრის თავგი (*Apodemus agrarius*) და საზოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis*) ბინადრობდეს ტერიტორიის მიმდებარე მიდამოებში“.

2.2. საწარმო უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაახლოებით 215 მეტრით არის დაშორებული. გზმ ანგარიშის მიხედვით, საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ხმაური უმნიშვნელო იქნება და მოსახლეობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს; საწარმოს გარშემო არსებული 3 მეტრიანი ღობე კი ხმაურის შემადგენელ ბარიერად არის განხილული. გამომდინარე იქიდან, რომ ქარხანა გაშლილ ტერიტორიაზე მდებარეობს, მხოლოდ 3 მეტრიანი ღობე შემაკავებელ ბარიერად ვერ განიხილება.

ასევე, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ხმაურის ზემოქმედების შესარბილებლად, „ხე-ტყის მასალის ჩამოგანილი ფიცრისაგან“ დამზადებულ ფარებს გამოიყენებს. შეფასებული არ არის, რამდენად ეფექტური იქნება მისი გამოყენება საწარმოო პროცესში, ასევე განხილული არ არის სხვა უფრო თანამედროვე ტიპის ხმაურდამცავი ტექნოლოგიები. ამიტომ, მიგვაჩნია, თავიდან იქნას შესწავლილი ხმაურის ზემოქმედება მოსახლეობაზე და შემუშავდეს სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები.

2.3. საწარმოში მადნის ტრანსპორტირება განხორციელდება სატვირთო მანქანებით. ანგარიშის თანახმად, მოსახლეობაზე ზეგავლენის შემცირების მიზნით შეირჩევა ოპტიმალური მარშრუტები დასახლებული პუნქტების გვერდის ავლით. თუმცა, არ არის განხილული რომელ მარშრუტებზეა საუბარი, ან როდის მოხდება მისი დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია გზმ ეტაპზე უკვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

5.1 ქვეთავში ვკითხულობთ: „ყველა სახის მანგანუმმცველი ნედლეული, აგრეთვე კოქსწვრილა, კვარციტი, კირქვა, რკინის ხენჯი (მადანი), ელექტროდები, საამქროში შემოიზიდება რკინიგზის როდონებით და საავტომობილო ტრანსპორტით“. ანგარიშში არ არის მოცემული რა რაოდენობის მადნის შემოტანა იგეგმება საავტომობილო ტრანსპორტით და სარკინიგზო საშუალებით.

3. ნარჩენების მართვა

3.1. გზმ ანგარიშის თანახმად, საწარმოში წარმოქმნილი წილის ნაწილი ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში და ხელმეორედ გადაამუშავდება. დაზუსტებული არ არის, რა რაოდენობით წილა წარმოიქმნება საქმიანობის პერიოდში, რა ნაწილს გადაამუშავებს კომპანია და რა ნაწილს გადასცემს ეკომეტალს. ასევე, უცნობია, საბოლოოდ ეკომეტალი როგორ მოახდენს მის მართვას.

3.2. ანგარიშის 11.1.4 ქვეთავის მიხედვით: „სილიკომანგანუმის დნობისას წარმოიქმნება ძირითადად შემდეგი სახის ნარჩენები: წილა, აირგამწმენდ მოწყობილობებში დაგროვილი რესპირაციული მტვერი (შლამი)“ - თუმცა, ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რა რაოდენობის შლამი წარმოიქმნება და როგორ მოხდება წარმოქმნილი შლამის უტილიზაცია.